



საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს

გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა

ქ. თბილისი

2020 წლის 12 ოქტომბერი

დისციპლინური საქმე №17/19

მოსამართლე --- მიმართ

დისციპლინური სამართალწარმოების შეწყვეტის თაობაზე

-- -- 2019 წლის 29 იანვრის №-- საჩივრის საფუძველზე „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75⁵ მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის და 75⁶ მუხლის შესაბამისად, საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს დამოუკიდებელი ინსპექტორის მიერ მოსამართლე --- მიმართ დაიწყო დისციპლინური სამართალწარმოება და წარმოდგენილი საჩივრის საფუძველიანობის წინასწარი შემოწმება.

დამოუკიდებელი ინსპექტორის 2019 წლის 04 აპრილის №17/19 დასკვნა საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს განსახილველად წარედგინა 2020 წლის 12 ოქტომბრის სადისციპლინო სხდომაზე.

1. დისციპლინური დევნის დაწყების საფუძველიანობის შემოწმება განხორციელდა საჩივარში მითითებულ შემდეგ ფაქტებზე:

საჩივრის ავტორი უთითებს მოსამართლის მიკერძოებულობაზე, რასთან დაკავშირებითაც აღნიშნავს, რომ ერთ-ერთ სხდომაზე მოპასუხეს უთხრა განსაკუთრებული ყურადღება მიექცია შტატის გაუქმების შესახებ ბრძანებაზე და მომზადებულიყვნენ ამის ირგვლივ. საჩივრის ავტორის თქმით, არც მოსამართლემ და არც მოსაპუხემ არ განუმარტეს თუ რა ბრძანება იყო და ჰქონდა თუ არა მისი გასაჩივრების უფლება, ხოლო 07 დეკემბრის სხდომაზე მოსამართლემ გაიზიარა მოპასუხის პოზიცია აღნიშნული ბრძანების გასაჩივრების ხანდაზმულად ცნობის თაობაზე.

2. დისციპლინური საჩივრის საფუძველიანობის წინასწარი შემოწმების შედეგად დამოუკიდებელი ინსპექტორის მიერ დადგენილი ფაქტობრივი გარემოებები:

-- -- 2017 წლის 07 თებერვალს სარჩელით მიმართა --- სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას, მოპასუხე --- მიმართ და მოითხოვა --- 2017 წლის 11 იანვრის №-- ბრძანების ბათილად ცნობა, სამუშაოზე აღდგენა და განაცდურის ანაზღაურება.

საქმეს განსახილველად გადაეცა --- სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის მოსამართლე ---.

მოსამართლე --- 2017 წლის 23 ივნისის მოხსენების საფუძველზე, საქმე განსახილველად გადაეცა ამავე კოლეგიის მოსამართლე ---.

2017 წლის 12 ივნისს, --- დაზუსტებული სარჩელით მიმართა --- სასამართლოს ადმინისტრაციულ

საქმეთა კოლეგიას და მოითხოვა - - - 2017 წლის 11 იანვრის №-- ბრძანების ბათილად ცნობა, 2017 წლის 8 მაისის №-- ბრძანების ბათილად ცნობა, სამუშაოზე აღდგენა და განაცდურის ანაზღაურება.

-- -- სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2017 წლის 12 ივნისის განჩინებით -- -- დაზუსტებული სასარჩელო განცხადება წარმოებაში იქნა მიღებული.

2017 წლის 13 ნოემბერს ჩანიშნულ მოსამზადებელ სხდომაზე მოსარჩელემ გაზარდა სასარჩელო მოთხოვნა და მოითხოვა - - - 2017 წლის 11 იანვრის №-- ბრძანების ბათილად ცნობა, -- -- განხორციელებული რეორგანიზაციისა და შტატების შემცირების შესახებ.

2017 წლის 13 ნოემბრის სხდომის ოქმის აუდიო ჩანაწერის მოსმენის შედეგად ირკვევა, რომ მოსარჩელემ დააყენა შუამდგომლობა სხდომის გადადებასთან დაკავშირებით ადვოკატის გამოუცხადებლობის გამო, რასაც ასევე დაეთანხმა მოპასუხის წარმომადგენელი, რომელმაც აღნიშნა, რომ გაეცნობოდა მოსარჩელის განცხადებას სასარჩელო მოთხოვნის გაზრდასთან დაკავშირებით. საკითხზე მსჯელობისას მოსამართლემ ყურადღება გამახვილა მოსარჩელის მხრიდან სასარჩელო მოთხოვნის გაზრდაზე და აღნიშნა, რომ მნიშვნელოვანი იყო განცხადების ის ნაწილი, რითიც მოთხოვნილი იყო შტატის შემცირების თაობაზე ბრძანების ბათილად ცნობა.

-- -- სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის მოსამართლის -- -- 2017 წლის 07 დეკემბრის განჩინებით, სასამართლომ იმსჯელა 2017 წლის 11 იანვრის №-- ბრძანებაზე (აღნიშნულ ბრძანებაზე დისციპლინური საჩივრის ავტორი) და მიიჩნია, რომ -- -- სარჩელზე, 2017 წლის 11 იანვრის №-- ბრძანების ბათილად ცნობის ნაწილში უნდა შეწყდეს საქმის წარმოება.

სასამართლო მიუთითებდა, რომ -- -- წარმოდგენილი ჰქონდა შესაგებელი თანდართული მასალებით, კერძოდ შესაგებელს თან ერთვოდა 2017 წლის 11 იანვრის №-- ბრძანება, რომელიც მოსარჩელე - - - გადაეცა 2017 წლის 2 ივნისის სასამართლო სხდომაზე. შესაბამისად, მან სასამართლოს მიმართა ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ოფიციალურად გაცნობის დღიდან კანონით დაწესებული გასაჩივრების ერთ თვიანი ვადის გასვლის შემდეგ. აღნიშნულით, სასამართლო არ დაეთანხმა მოსარჩელის არგუმენტს, თითქოს მისთვის ახლა გახდა ცნობილი სადავოდ გამხდარი ბრძანების შინაარსის და მნიშვნელობის თაობაზე, რადგან მისი განთავისუფლების თაობაზე ბრძანებაში ერთ-ერთ საფუძვლად მითითებული იყო სწორედ აღნიშნული ბრძანება.

2018 წლის 26 ნოემბერს, სასამართლოს მოსამზადებელ სხდომაზე, მოსარჩელე მხარემ სასამართლოს (მოსამართლის) მიმართ დააყენა აცილების შუამდგომლობა, რის მოტივად მიუთითა ის გარემოება, რომ 2017 წლის 7 დეკემბერს გამართულ სასამართლო სხდომაზე, შეილახა მისი უფლებები, ვინაიდან სასამართლომ, 2017 წლის 11 იანვრის №-- ბრძანების ბათილად ცნობის ნაწილში სარჩელზე შეწყვიტა საქმის წარმოება, რომელიც -- სააპელაციო სასამართლომ დატოვა უცვლელი. მოსარჩელის განმარტებით, აღნიშნული არის უკანონო, მაშინ როდესაც სადავო აქტზე არ არის მითითებული გასაჩივრების ვადა და წესი.

მოსარჩელემ აცილების საფუძვლად ასევე უთითებდა -- სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2007 წლის 25 ივნისის განჩინებაზე (განმხილველი მოსამართლე - - -), რომლითაც -- -- სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა და უცვლელად დარჩა -- -- სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2007 წლის 20 თებერვლის გადაწყვეტილება (აღნიშნული გადაწყვეტილებით მოსარჩელე - - - სარჩელი არ დაკმაყოფილდა), ხოლო, საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2008 წლის 22 მაისის განჩინებით, ნაწილობრივ დაკმაყოფილდა -- -- საკასაციო საჩივარი, გაუქმდა -- სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2007 წლის 25 ივნისის განჩინება და საქმე ხელახლა განსახილველად დაუბრუნდა იმავე სასამართლოს, რის გამოც მას გაუჩნდა ეჭვი საქმის მოსამართლის მიუკერძოებლობასთან დაკავშირებით და მოსარჩელეს მიუთითა, რომ უცხადებდა სრულ უნდობლობას.

-- -- სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის მოსამართლის -- -- 2018 წლის 07 დეკემბრის განჩინებით, დაკმაყოფილდა აცილების შუამდგომლობა და საქმე გადაეცა სხვა მოსამართლეს.

3. დამოუკიდებელი ინსპექტორის 2019 წლის 04 აპრილის დასკვნა:

-- -- 2019 წლის 29 იანვრის №-- საჩივრის საფუძვლიანობის წინასწარი შემოწმების და გამოკვლევის შედეგად დადგენილი ფაქტობრივი გარემოებები შეიცავს მოსამართლე -- -- მიერ „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75¹ მუხლის მე-2 პუნქტით განსაზღვრული დისციპლინური გადაცდომის ჩადენის ნიშნებს (2020 წლის 01 იანვრამდე მოქმედი რედაქცია).

4. დამოუკიდებელი ინსპექტორის მიერ წინასწარი შემოწმების და გამოკვლევის შედეგად დადგენილი ფაქტობრივი გარემოებების სამართლებრივი შეფასება:

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75¹ მუხლის მე-8 პუნქტის „ა.ა“ ქვეპუნქტის თანახმად, დისციპლინურ გადაცდომად ჩაითვლება „მოსამართლის მიერ სამოსამართლო უფლებამოსილების განხორციელება პირადი ინტერესის, პოლიტიკური ან სოციალური ზეგავლენით“.

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75¹ მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად, „დისციპლინური გადაცდომა არის მხოლოდ ამ კანონით გათვალისწინებული, მოსამართლის მიერ ჩადენილი განზრახი ან გაუფრთხილებლობითი ქმედება.“ დისციპლინურ გადაცდომად შეიძლება მიჩნეულ იქნას მხოლოდ ისეთი ქმედება, რომელიც დისციპლინური გადაცდომის სახეების ჩამონათვალში, „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75¹ მუხლის მე-8 პუნქტშია მოცემული.

მოსამართლეთა ქცევის ბანგალორის პრინციპებისა და კომენტარების თანახმად, ინტერესთა კონფლიქტის პოტენციური შესაძლებლობა წარმოიშობა, როცა მოსამართლის (ან მისი ახლობლების) პირადი ინტერესები ეწინააღმდეგება მის მოვალეობას, მიუკერძოებლად განიხილოს სასამართლო საქმეები. მოსამართლის მიუკერძოებლობა გულისხმობს როგორც რეალურ მიუკერძოებლობას, ასევე გარეშე დამკვირვებლისაგან მის ასეთად აღქმას.¹

საქართველოს სამოსამართლო ეთიკის წესების მე-3 მუხლის თანახმად, მოსამართლე ინსტიტუციონალურ და ინდივიდუალურ დონეზე უნდა განამტკიცებდეს საზოგადოებრივ რწმენას მართლმსაჯულების დამოუკიდებლობის, სამართლიანობისა და მიუკერძოებლობისადმი.

მოსამართლეებმა უნდა შეასრულონ თავიანთი მოვალეობები ჯეროვნად და დაიცვან მხარეთა თანასწორუფლებიანობის პრინციპი, თავიდან აიცილონ რაიმე სახის მიკერძოება და დისკრიმინაცია, და შეინარჩუნონ ბალანსი მხარეებს შორის და უზრუნველყონ საქმის სამართლიანი განხილვა თითოეული მხარისათვის.²

მოსამართლეთა ქცევის ბანგალორის პრინციპების მე-2 ღირებულება არის „მიუკერძოებლობა“, რომლის თანახმად, მიუკერძოებლობა არის მნიშვნელოვანი სასამართლო უფლებამოსილების ჯეროვნად განსახორციელებლად; ის ვრცელდება არა მხოლოდ გადაწყვეტილებაზე, არამედ პროცესზეც, რომლის შედეგად გადაწყვეტილება მიიღება. ამ პრინციპის გამოყენების 2.1. პუნქტის თანახმად, მოსამართლემ უნდა განახორციელოს მისი სამოსამართლო ვალდებულებანი ფავორიტიზმის, მიკერძოების ან წინასწარი განწყობის გარეშე.

¹ მოსამართლეთა ქცევის ბანგალორის პრინციპები და კომენტარები, GIZ, თბილისი 2015, გვ. 98 §67

² „მოსამართლეთა პროფესიული ქცევის მარეგულირებელი პრინციპებისა და წესების, კერძოდ, ეთიკის ნორმების, თანამდებობასთან შეუფერებელი ქცევისა და მიუკერძოებლობის შესახებ“, ევროპის მოსამართლეთა საკონსულტაციო საბჭო (CCJE), დასკვნა 3 (2002), §24

მიუკერძოებლობის შესახებ მოთხოვნა ორ ასპექტს მოიცავს: პირველი, რომ სასამართლო მიუკერძოებელი უნდა იყოს სუბიექტური თვალსაზრისით, ანუ სასამართლოს არცერთ წევრს არ უნდა ჰქონდეს პირადი მიკერძოება ან წინასწარ შექმნილი წარმოდგენა. პირადი მიუკერძოებლობა იგულისხმება, თუ არ არსებობს საწინააღმდეგო მტკიცებულებები; მეორე, რომ სასამართლო მიუკერძოებელი უნდა იყოს ობიექტური თვალსაზრისით, ანუ უნდა უზრუნველყოფდეს საკმარის გარანტიებს საიმისოდ, რომ გამოირიცხოს რაიმე ეჭვი მის მიუკერძოებლობასთან დაკავშირებით. ამ კრიტერიუმის თანახმად, აუცილებელია, განისაზღვროს, მოსამართლის ქცევისაგან სრულიად დამოუკიდებლად არსებობს თუ არა სარწმუნო ფაქტები, რომლებიც მის მიუკერძოებლობაში დაეჭვების საფუძველს იძლევა. ამ თვალსაზრისით, დიდი მნიშვნელობა აქვს იმასაც, თუ როგორ აღიქმება ეს საკითხები. სასწორზე ხომ ის ნდობა დევს, რომელიც დემოკრატიული საზოგადოების ყოველ წევრს, ბრალდებულების ჩათვლით, უნდა ჰქონდეს სასამართლოსადმი.³

ასევე, უნდა აღინიშნოს, რომ ევროპის მოსამართლეთა საკონსულტაციო საბჭოს (CCJE) 2002 წლის №3 დასკვნა, რომელშიც აღნიშნულია, რომ სამოსამართლო დავების გადაწყვეტის არსებული მეთოდები ყოველთვის ნდობას უნდა იმსახურებდეს. უფლებამოსილებანი, რომლებითაც მოსამართლეები არიან აღჭურვილნი, უშუალოდ დაკავშირებულია ისეთ ღირებულებებთან, როგორცაა სამართლიანობა, ჭეშმარიტება და თავისუფლება. მოსამართლეების მიმართ გამოყენებული ქცევის სტანდარტები გამომდინარეობს ამ ღირებულებებიდან და მართლმსაჯულების განხორციელების საფუძველს წარმოადგენს (§8). ამასთან, საზოგადოებრივი ნდობა და პატივისცემა სასამართლო ხელისუფლებისადმი სასამართლო სისტემის მუშაობის ეფექტიანობის გარანტიებს წარმოადგენს, ცალსახად ნათელია, რომ სამოსამართლო ქცევა პროფესიულ სფეროში საზოგადოების წევრების მიერ განიხილება, როგორც სასამართლოების მიმართ ნდობის განუყოფელი ნაწილი (§22).

აღსანიშნავია, რომ -- -- სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის მოსამართლის -- -- 2018 წლის 07 დეკემბრის განჩინებით, დაკმაყოფილდა აცილების შუამდგომლობა. სასამართლომ აღნიშნა, რომ -- -- მხრიდან არაერთხელ იქნა პრეტენზია გამოთქმული და განმარტებული, რომ მოსამართლის მიერ სხვა საქმეზე მის წინააღმდეგ მიღებული გადაწყვეტილების შემდეგ, სასამართლო მოცემული შემადგენლობით ვერ იქნებოდა ობიექტური და დიდი ალბათობით მიიღებდა ისევ მის საწინააღმდეგო გადაწყვეტილებას. მიუხედავად ამისა, მოსამართლის აცილების თაობაზე მოსარჩელე მხარის განცხადება დაუსაბუთებელი და უსაფუძვლო იყო. არ არსებობდა საქმის შედეგით დაინტერესების ან სხვა ისეთი გარემოებები, რომელიც ეჭვს იწვევდა მოსამართლის მიუკერძოებლობასა და დამოუკიდებლობაში, თუმცა, სასამართლოს, როგორც სახელმწიფო ხელისუფლების უმნიშვნელოვანესი ინსტიტუტის მიმართ შესაძლო რაიმე ეჭვის თავიდან აცილების, მოსარჩელის ეჭვის გაქარწყლებისა და ამ გზით საქმის სამართლიანი განხილვის უზრუნველყოფის მიზნით, სასამართლომ მიიჩნია, რომ ამ შემთხვევაში მიზანშეწონილი იყო საქმის აცილება.

მნიშვნელოვანია, რომ 2017 წლის 13 ნოემბრის და 07 დეკემბრის სხდომის ოქმების აუდიო ჩანაწერების შესწავლის შედეგად, არ დასტურდება მოსამართლის მხრიდან მოპასუხის წარმომადგენლისათვის კონსულტაციის გაწევის, მითითებების მიცემის ან მიკერძოების ფაქტი.

ამდენად, არ დასტურდება მოსამართლის მხრიდან „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75¹ მუხლის მე-8 პუნქტის „ა.ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული დისციპლინური გადაცდომის შესაძლო ჩადენის ფაქტი.

5. საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიერ გადაწყვეტილების მიღების სამართლებრივი საფუძველები:

³ მოსამართლეთა ქცევის ბანგალორის პრინციპები და კომენტარები, GIZ, თბილისი 2015, გვ. 98 §67

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75¹² მუხლის პირველი პუნქტის მე-2 პუნქტის თანახმად, საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო იღებს დასაბუთებულ გადაწყვეტილებას მოსამართლის მიმართ დისციპლინური სამართალწარმოების შეწყვეტის შესახებ, თუ დისციპლინური საქმის გამოკვლევის შედეგად მოსამართლის მიერ ამ კანონით გათვალისწინებული დისციპლინური გადაცდომის ჩადენის ფაქტი ან ბრალეული ჩადენა არ დადასტურდა.

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 50-ე მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად, სადისციპლინო საკითხზე გადაწყვეტილება მიღებულად ითვლება, თუ მას ფარული კენჭისყრით მხარს დაუჭერს საბჭოს სრული შემადგენლობის არანაკლებ 2/3-ისა.

საქართველოს იუსტიციის უმაღლესმა საბჭომ დამოუკიდებელი ინსპექტორის მიერ საჩივარზე შესაბამისი გარემოებების გამოკვლევის შედეგად დადგენილი ფაქტობრივი გარემოებების შეფასების შედეგად მიიჩნია, რომ „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75¹² მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, მოსამართლის მიმართ უნდა შეწყდეს დისციპლინური სამართალწარმოება. შესაბამისად, საქართველოს იუსტიციის უმაღლესმა საბჭომ 2020 წლის 12 ოქტომბრის სადისციპლინო სხდომაზე ჩატარებული ფარული კენჭისყრის შედეგად (სადისციპლინო სხდომაზე დამსწრე იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 14 წევრთაგან 14 ხმით, სრული შემადგენლობის 2/3-ის უმრავლესობა), მიიჩნია, რომ მოსამართლე -- -- მიმართ უნდა შეწყდეს დისციპლინური სამართალწარმოება.

საქართველოს იუსტიციის უმაღლესმა საბჭომ იხელმძღვანელა „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 50-ე მუხლით და 75¹² მუხლის მეორე პუნქტით და

გ ა დ ა წ ვ ე ბ ა :

დისციპლინურ საქმეზე №17/19 მოსამართლე -- -- მიმართ შეწყდეს დისციპლინური სამართალწარმოება.

გიორგი მიქაუტაძე

**საქართველოს იუსტიციის
უმაღლესი საბჭოს მდივანი**